

დოკუმენტი დამტკიცებულია
უნივერსიტეტის მმართველი საბჭოს
02/10/2020 წლის N2 დადგენილებით,
სხდომის ოქმი N4

შპს „ქუთაისის უნივერსიტეტის“ მისია

2020 წელი

ქუთაისის უნივერსიტეტის მისია

უნივერსიტეტის მისია:

უმალესი საგანმანათლებლო ცენტრის შექმნა, რომელიც ემსახურება

- საერთაშორისო და ეროვნული, უპირატესად რეგიონული შრომის ბაზრის მოთხოვნების შესაბამისი კომპეტენციისა და ცოდნის მქონე კადრების მომზადებას, რომლებიც შეძლებენ ეთიკური და სოციალური პასუხისმგებლობის მქონე საზოგადოებისა და შესაბამისი სფეროს განვითარებაში, ასევე ეკონომიკურ აღმშენებლობაში საკუთარი წვლილის შეტანას;
- ადგილობრივ დონეზე აკადემიური საზოგადოების გაძლიერებას, ახალი ცოდნის გენერირების და გაზიარების ხელშეწყობას, როგორც ინსტიტუციის რესურსების, ასევე, რეგიონის თავისებურებების გათვალისწინებით.

ღირებულებები:

ქუთაისის უნივერსიტეტი იზიარებს თანამედროვე ევროპულ და ზოგადსაკაცობრიო ღირებულებებს, ასევე ევროპული უნივერსიტეტების დიდი ქარტიით განსაზღვრულ ფასეულობებს. უნივერსიტეტის ღირებულებები ეფუძნება აკადემიური თავისუფლების პატივისცემას, კრიტიკული, ანალიტიკური, პროგრესული და შემოქმედებითი აზროვნების ხელშეწყობის პრინციპებს, ასევე სიტყვის, აზრისა და გამოხატვის თავისუფლებას, ადამიანის ძირითადი უფლებების და თავისუფლებების პატივისცემას, ყველა სახის დისკრიმინაციის აკრძალვას, აკადემიური ეთიკისა და კეთილსინდისიერების დაცვის პრინციპს.

ხედვა:

2027 წლისთვის ქუთაისის უნივერსიტეტი წარმოადგენს რეგიონული და ეროვნული მნიშვნელობის აკადემიურ დაწესებულებას, რომელსაც უზრუნველყოფილი ექნება:

- რეგიონის ეკონომიკური სპეციფიკის შესაბამისი, შრომის ბაზართან თანხვედრაში მყოფი, ასევე სახელმწიფოს და საზოგადოების აკადემიური საჭიროებიდან გამომდინარე უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამები უმაღლესი განათლების სამივე საფეხურზე ინტერნაციონალიზაციის მაღალი ხარისხით;
- შესაძლებლობა რეგიონული, ეროვნული და საერთაშორისო მნიშვნელობის კვლევითი პროექტების განხორციელებისა, ახალი ცოდნის გენერაცია.
- რეგიონული და ეროვნული მასშტაბის ექსპერტიზის ცენტრად ჩამოყალიბება, რომელიც ხელს შეუწყობს დაგროვილი ცოდნის ფართო საზოგადოებისთვის გაზიარებასა და სახელმწიფოს დემოკრატიზაციისა და ეკონომიკური აღმშენებლობის პროცესს.